ოქმი:**ო37. 3726097001**

თარიღი:**07/04/2026**

ოქმი N 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის

2026 წელი, 3 აპრილი

ქ. ოზურგეთი

11:00-11 :30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - დ.კიკვაძე; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ტ. არეშიძე, პ. კიღურაძე; საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ბ. თოიძე, ტ. ბარამიძე; საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეები: ქ. ხომერიკი, დ. ხურციძე, ე. გორდელაძე.

საკრებულოს წევრები: კ. კვაჭაძე, ნ. გოლიაძე, თ. ბადალაშვილი, ზ. სურგულაძე, ნ. ჭანიშვილი, თ. ქავთარია, ვლ. ხავთასი, ხ. ცერცვაძე, ნ. ურუშაძე, გ. კალანდაძე, ნ. ნადირაშვილი,გ. ხიდირბეგშვილი, გ. გაბისიანი, გ. მდინარაძე, მ. ცქვიტინიძე, დ. ასათიანი, ი. დობორჯგინიძე, ნ. გობრონიძე, ლ. კილაძე, ლ. მესხი, მ. ცქვიტიშვილი, გ. კილაძე, ე. წუწუნავა, ქ. კვაჭანტირაძე, ზ. მორჩილაძე, ზ. სალუქვაძე, გ. სირაძე.

მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე. საკრებულოს 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა-39-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, შემდეგ გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 39-ხმით.

საკითხების განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარის დ. დარჩიას წინადადებით საკრებულეოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილი კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ხსოვნას.

დღის წესრიგი

8.1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N 13 დადგენილებასი ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიამ დარჩია

ტატა ბარამიძე
დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა - 39 ხმით

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტის დამტკიცებას.

12.2. ”საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომნხსენებელი: თეიმურაზ მურვანიძე

დავით ჭაკნელიძე
განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა -39 ხმით

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტის დამტკიცებას.

3. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი